საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი

ძიუდო. ოქროს მედლები — **კობა კურტანიძე** (ქვემძიმე წონა), **აკაკი კიბორძალიძე** (მძიმე წონა), ვერცხლის მედალი — **ლერი ნაკანი** (78 კგ), ბრინჯაოს მედალი — **ანზორ თენაძე** (86 კგ).

წყალში ხტომა. ვერცხლის მედალი — **გიორგი ჩოგოვაძე** (კოშკი, თბილისი, „განთიადი").

კრივი. ბრინჯაოს მედლები — **რუდიკ კაზანჯიანი** (48 კგ), **ალბერტ კაზანჯიანი** (54 კგ, ორივე — თბილისი, „შრომითი რეზერვები").

უნიკალური ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 თებერვალი, შაბათი, 1987 წ.
№ 31 (9442) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძიუდოში



კობა კურტანიძე

აკაკი კიბორძალიძე

ბრწყინვალე დასაწყისი

ლენინგრადი. ძიუდოისტთა საკავშირო პირველობამ, რომელიც გუშინწინ აქ დაიწყო, ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრების პირველ დღეს, ტრადიციულად, მედლების ორი კომპლექტი გათამაშდა — მძიმე და ქვემძიმე წონებში.

მძიმე წონაში გამარჯვება მუდამ პრესტიჟულ წარმატებად ითვლებოდა. ასე იყო ამჯერადაც, მიო უფრო, რომ წლევანდელ გათამაშებაში ოქროს მედლისთვის ფაქტიურად ყველა უძლიერესი ძიუდოისტი იბრძოდა. ფავორიტებმა — 24 წლის ქუთაისელმა აკაკი კიბორძალიძემ და ჩელიაბინსკელმა გრიგორი ვერჩევმა წარმატებით ჩაატარეს წინასწარი შეხვედრები და ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ. გადამწყვეტ ბრძოლაში უპირატესობა კიბორძალიძის მხარეს იყო, რომელმაც ჩემპიონის ოქროს მედალი პირველად მოიპოვა.

ქვემძიმე წონაში (95 კგ) თბილისელ კობა კურტანიძეს ყველა ფავორიტად თვლიდა და მან [illegible] ლისტთა იმედები არ გაამ[illegible]. ფინალში დამაჯერებლად მოუგო კაუნასელ რომას პაჩინსკასს. [illegible] გახსენებთ, რომ კურტანიძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი შეასრულა [illegible] ხდა.

შეჯიბრება 15 თებერვალს დამთავრდება.

ტექნიკური შედეგები. **მძიმე წონა.** 1. ა. კიბორძალიძე (ქუთაისი), 2. გ. ვერჩევი (ჩელიაბინსკი), 3. ჰაბილ ბიქთაშევი (კუიბიშევი) და ი. დარზნიეკსი (რიგა).

ქვემძიმე წონა (95 კგ). 1. კ. კურტანიძე (თბილისი), 2. ო. პაჩინსკასი (კაუნასი), 3. დ. სოლოვიოვი (ჩიტა) [illegible]

ელვა-ინფორმაცია

ლენინგრადში მიმდინაოე ძიუდოისტთა საკავშირო ჩემპიონატში გუშინ ქართველმა ფალავნებმა კიდევ ორი მედალი მოიპოვეს. მესტიელი ლერი ნაკანი ვერცხლის მედალს დაეუფლა 78 კგ წონითს კატეგორიაში, თბილისელმა ანზორ თენაძემ კი მესამე ადგილი დაიკავა 86 კგ წონის ათლეტთა ასპარეზობაში. გუნდურ ჩათვლაში ჯერჯერობით ლიდერობს საქართველოს ნაკრები, რომელიც მეორე ადგილზე მყოფ რსფსრ-ის გუნდს 2 ქულით უსწრებს.

„ლელოს" ინფორმაციიდან

გაიხსნა ხელოვნებისა და სპორტის ფესტივალი „რანდევუ-87"

ბაკვეზეკი, 11 თებერვალი (საკდ-ის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის, კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით აქ მიმდინარე ხელოვნებისა და სპორტის საერთაშორისო ფესტივალის „რანდევუ-87" ერთ-ერთი მთავარი მოვლენა გახდა გალა-კონცერტი ქვებეკის „გრანდ თეატრში". ფესტივალის მონაწილენი და მაყურებლები დიდი ინტერესით შეხვდნენ ვიდეოჩანაწერით გადმოცემულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ა. გრომიკოს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, რონალდ რეიგანისა და კანადის პრემიერმინისტრის ბრაიან მალრუნის მისალმებებს ამ ფესტივალის მონაწილეებისადმი.

...გალა-კონცერტმა ცხადყო საბჭოთა, კანადელი და ამერიკელი მომღერლებისა და მუსიკოსების შესანიშნავი შემოქმედებითი თანამეგობრობა. მაყურებელმა მჭუხარე ტაშით დააჯილდოვა პოპულარული მომღერლები კრისტალ გეილი და ჟანეტ რენარი, სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტები ნინო სოროკინა და იური ვლადიმიროვი, ცნობილი მომღერალი პოლ ანკი, ესტრადის მსახიობი ანდრე-ფილიპ განიონი და როკ ჯგუფი „ავტოგრაფი".

მაყურებლები მოხიბლა საბჭოთა არმიის ორგზის წითელდროშოვანი ა. ვ. ალექსანდროვის სახელობის აკადემიური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა. აპოთეოზი იყო კანადელი კომპოზიტორის დევიდ ფოსტერის „რანდევუ-მშვიდობისათვის" სიმღერის ინგლისურ ენაზე შესრულება. ქვეყნად მშვიდობისა და მეგობრობის ამ ჰიმნის უკანასკნელი სტრიქონები მჭუხარე ტაშმა დაფარა.

დღეს „დინამოს" სტადიონზე

მატჩს, რომელიც დღეს გაიმართება თბილისის „დინამოს" სტადიონზე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უმაღლესი ლიგის ორი კოლექტივის ამხანაგურ შეხვედრას. როგორც ვიუწყებოდით, თბილისის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფთჩის" გუნდების ამ მატჩის მთლიანი შემოსავალი სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული საქართველოს რაიონების მოსახლეობის დახმარების ფონდში გადაირიცხება.

ვიმედოვნებთ, ფეხბურთის გულშემატკივრები, თბილისელები ამ მატჩის ბილეთების შეძენითაც გამოხატავენ სტიქიით დაზარალებულთათვის ზრუნვას და თანადგომას.

მატჩი 15 საათზე დაიწყება.



თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა დონეცკის „შახტიორთან" მოიგეს ანგარიშით 72:69.

სურათზე: დარხაძე უტევს მეტოქის კალათს. (მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

გიორგი ჩოგოვაძის ვერცხლის მედალი

პოპულარობით სარგებლობს წყალში მხტომელთა საკავშირო პირველობა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. ამ შეჯიბრებაში მოპოვებული მედალი საკავშირო ჩემპიონატში მიღწეული წარმატების ტოლფასია.

ამიტომაა „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზის მოსაპოვებლად სპორტსმენები დიდი მონდომებით რომ იბრძვიან. ეს ასპარეზობა, როგორც წესი, ახალი სპორტული სეზონის დასაწყისში ეწყობა. და მას ხშირად ბელორუსიის დედაქალაქი მასპინძლობს. შეჯიბრება მინსკში გუშინწინ დაიწყო. საასპარეზოდ ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი სპორტსმენი შეიკრიბა. მათ შორისაა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გიორგი ჩოგოვაძეც („განთიადი").

შეჯიბრების პირველ დღეს 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში თავი ისახელა ჩოგოვაძემ. მან მეორე ადგილი მოიპოვა.

თბილისელმა დიანა მჭედლიძემ („განთიადი") 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მეოთხე ადგილი დაიკავა.



კაუნასში მიმდინარეობს სსრ კავშირის ჩემპიონატი კრივში (იხ. მე-4 გვ.).

სურათზე: ბრინჯაოს მედლის მფლობელი თბილისელი ალბერტ კაზანჯიანი.

ქმა ქმისთვის...

ერთსულოვანი დახმარება

● **აფხაზეთის** სოფლების ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა გულთან ახლოს მიიტანეს დასავლეთ საქართველოს მეზობელი რაიონების გასაჭირი. ისინი მზად არიან დაეხმარონ დაზარალებულებს. გუშინ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" აფხაზეთის ორგანიზაციებმა 1500 მანეთი გადარიცხეს დახმარების საერთო ფონდში.

შალვა მიქელაძე,
„კოლმეურნის" აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე.

● **მოსკოვი** (ტელეფონით). მოსკოვში მცხოვრები ქართველები შეგვაშფოთა საქართველოში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ. გთხოვთ დაზარალებულთ გადასცეთ ჩვენი თანაგრძნობა. პირადად მე თანამემამულეთა დასახმარებლად 100 მანეთი გადმოვრიცხე საერთო ფონდში.

ვალერიან როგავა,
სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე.

● **ჰიდროგაში** უმაღლესი სპორტული დაოსტატების სპორტული სკოლის და ცენტრალური სასწავლო-საწვრთნელი კომპლექსის ერთობლივ კრებაზე გადაწყდა დაზარალებულთა ოჯახებისათვის გაიღონ 3000 მანეთი.

ოთარ დიდებულიძე,
საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი.

● **ბურჯაანის** რაიონის სოფელ ვეჯინში მაქვს საცხოვრებელი სახლი, რომელიც ერთ დიდ ოჯახს შეშიძლია დავუთმო 2 წლით უსასყიდლოდ. სახლის გასაღები ინახება იმავე ეზოში მცხოვრებ ბიძასთან.

ანზორ გაბიტაშვილი,
„გურიის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ექიმი-მასაჟისტი.

● **13 თებერვალს** ტელეფონით დაგვიკავშირდა მოსკოვი, კიევი, ხარკოვი, დონეცკი, კრასნოიარსკი, დნეპროპეტროვსკი. იქაურმა ალპინისტებმა, კერძოდ, ცნობილმა ალპინისტებმა დონეცკელმა მიხაილ ტურკევიჩმა და ხარკოველმა სერგეი ბერშოვმა სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიიღონ საქართველოს მთიან რეგიონებში დაწყებულ სამაშველო სამუშაოებში.

ნოდარ კანკავა,
საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი.

ხარვეზებზე — საჯაროდ!

ვისაც შეუძლია, მათგან მეტს მოითხოვენ

საქართველოს სპორტსმენები საპატიო კვარცხლბეკზე არც თუ იშვიათად უთმობენ ადგილებს სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებს, მაგრამ არის სპორტის რამდენიმე სახეობა, რომლებშიც ჩვენ განსაკუთრებული პრეტენზიები გვაქვს. ასეთ სახეობათა შორის, უწინარესად, ძიუდო უნდა დავასახელოთ. საქართველოს ძიუდოისტებს საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე არაერთი თვალსაჩინო გამარჯვება აქვთ მოპოვებული. იცვლებოდნენ თაობები, მაგრამ თითქმის ყოველ წელს გვყავდა საბჭოთა კავშირის, ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატების, დიდი საერთაშორისო ტურნირების პრიზიორები. საკავშირო სარბიელზე ჩვენი ძიუდო კვლავ ინარჩუნებს მოწინავე პოზიციებს და ამას შარშანდელი შედეგებიც ადასტურებს (შეგახსენებთ, რომ შარშან ქართველმა ძიუდოისტებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ორი ოქროს მედალი მოიპოვეს; IX სპარტაკიადაზე — ოთხი, საბჭოთა კავშირის პირველ აბსოლუტურ ჩემპიონატში გაიმარჯვა აკაკი კიბორძალიძემ), მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე იმედები გაგვიცრუვდა. ამ შეჯიბრებაზე ნაკრების შემადგენლობაში სამი ქართველი ძიუდოისტი გაემგზავრა, მაგრამ პრიზიორთა შორის ვერც ერთი ვერ მოხვდა.

დადგა დრო, თავისი სახელი დავარქვათ ყველაფერს, ობიექტურობის სასწორზე ავწონოთ კარგიც და ავიც. უწინარესად ალბათ ის უნდა ითქვას, რომ ჩვენ მეტისმეტად ვაზვიადებთ „შინაურულ“ ტურნირებში მოპოვებულ გამარჯვებებს, ხოლო როცა ოფიციალური საერთაშორისო შეჯიბრებები ჩაივლის, აღმოჩნდება, რომ არც ისე კარგად გვქონია საქმე. ფაქტია, რომ დიდი ასპარეზობისთვის რიგიანად ვერ ვამზადებთ მოჭიდავეებს. ამ დროს სრულიად გაუგებარია საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა პოზიცია, რომლებიც ცდილობენ პასუხისმგებლობა მოიხსნან და ყველაფერი საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელობას გადააბრალონ, აქაოდა ჩვენი რა ბრალია, პასუხი იმათ მოეთხოვებათ, ვინც გუნდს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისთვის ამზადებსო.

ვიმეორებთ, ეს არასწორი პოზიციაა. სპორტსმენის მზადყოფნაზე პასუხს უპირველესად აგებს მისი პირადი მწვრთნელი, იმ გუნდის მწვრთნელთა საბჭო, რომელმაც მოჭიდავე საკავშირო ნაკრებში მიიავლინა. ფაქტები მოწმობენ, რომ ბოლო დროს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელთა შორის არაკოლეგიალური, არაჯანსაღი ატმოსფერო დამკვიდრდა, მომრავლდა დისციპლინის დარღვევის, ვარჯიშზე გამოუცხადებლობის შემთხვევები, ხშირად სპორტსმენები არ ასრულებენ ინდივიდუალური მზადების გეგმას, დაგვიანებით ცხადდებიან სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებზე. დისციპლინის უხეში დარღვევებით ჩატარდა, მაგალითად, საწვრთნელი შეკრება ბაკურიანში. ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა დოლარ ხაბულიანმა თვითნებურად მიატოვა გუნდი, თბილისში გამოემგზავრა და ავტოავარიაში მოყვა. ნაკრები უფროსი მწვრთნელის გარეშე დარჩა, არადა, ბაკურიანის საწვრთნელი შეკრება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. ნაკრები ლენინგრადშიც ქვეყნის ჩემპიონატზე უფროსი მწვრთნელის გარეშე გაემგზავრა. რამდენიმე დღის დაგვიანებით დაიწყო ამ ჩემპიონატისთვის მზადების დასკვნითი შეკრებაც, მწვრთნელებმაც ვერ უზრუნველყვეს გუნდის წევრების დროული ჩამოყვანა ქუთაისიდან და გორიდან, შეკრების ხელმძღვანელს სულიკო ფეიქრიშვილს გამოეცხადა საყვედური. საჭირო გახდა რადიკალური ზომების მიღება ჩემპიონატისათვის გუნდის მოსამზადებლად.

არის სხვა ფაქტებიც, გუნდში შექმნილ არაჯანსაღ ატმოსფეროზე რომ მეტყველებს. შარშან საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე სპორტული რეჟიმის უხეში დარღვევისთვის გუნდიდან დაითხოვეს გ. ბერუაშვილი და დ. ვარძელაშვილი. ანალოგიური დარღვევისთვის საკავშირო ნაკრების სასწავლო-საწვრთნელი შეკრებებიდან დაითხოვეს ჯ. მჭედლიშვილი, ბ. ფირცხელანი, ე. გოგიჩაშვილი, ა. ხაჩიძე, საკავშირო შეკრებაზე დაგვიანებით გამოცხადდნენ დ. დემეტრაშვილი, ვ. პარუნაშვილი, გ. ბერუაშვილი. ამ ფაქტებს პრინციპული შეფასება მისცა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდიუმმა, რესპუბლიკის სპორტსახკომის ჭიდაობის სამმართველომ. გუნდის მწვრთნელებს მკაცრად მიეთითათ, სპორტსმენთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლისთვის სხვადასხვა სასჯელი დაედოთ დისციპლინის დამრღვევ მოჭიდავეებს. ძიუდოისტებისაგან მეტს მოელის ჩვენი გულშემატკივარი, სპორტული ორგანიზაციები, სპორტსახკომი ყველაფერს აკეთებენ რომ ნაკრებს, ძირითადი იქნება ეს თუ სარეზერვო, სპორტული ოსტატობის დონის ამაღლების ყოველგვარი პირობები შეუქმნან, იხარჯება დიდძალი მატერიალური სახსრები, ამიტომ მეტს ითხოვენ ძიუდოისტებისაგან, უკუგებამ ხომ უნდა გაამართლოს საყოველთაო ზრუნვა. ლენინგრადში ამჟამად მიმდინარე ჩემპიონატმა უნდა გვიჩვენოს რა დასკვნები გააკეთა მწვრთნელთა საბჭომ მითითებული ნაკლოვანებებიდან.



დიახ, დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლანჩხუთის „გურიის“ სტადიონის მშენებლობის ძირითადი ეტაპი დასასრულს უახლოვდება.

აღმოსავლეთ ტრიბუნაზე ორიოდე დღეში დამთავრდება ბეტონის ფილების დაგება, მერე კი ყველაფერი მზად იქნება საბოლოო სამუშაოების დასაწყებად. დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ტრიბუნებზე უკვე დაიწყო დასაჯდომი ადგილების შეღებვა. გუშინვე დაიწყო ელექტროგანათების ანძებზე პროჟექტორების დამონტაჟება.

მალე დამთავრდება გასახდელებისა და საშხაპეების მოწყობაც (ამ ობიექტზე მუშაობს „საქაგრომშენის“ ცხაკაიის № 2 სარემონტო-სამშენებლო ტრესტი). გრაფიკის შესაბამისად მუშაობენ ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ № 815 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მუშაკები, რომლებსაც ძირითადი და სათადარიგო სათამაშო მინდვრების შემოღობვა, სალაროების აგება და სხვა სამუშაოები აქვთ დავალებული.

მთავრდება და 25 თებერვლისთვის მზად იქნება გასახდელები და ფეხბურთელების მინდორზე გასასვლელი გვირაბი. სხვადასხვა მოწყობილობის უქონლობის გამო გრიგოლეთის ბაზაზე ფირდება საქვაბის მოწყობა, ჯერ არ გადაწყვეტილა წყალსაქაჩი კოშკის დამონტაჟების საკითხიც. „საქაგრომშენის“ № 16 ტრესტი არადამკმაყოფილებლად მუშაობს აღდგენითი სამედიცინო ცენტრისა და სასადილოს სანტექნიკურ აღჭურვაზე.

რაც შეეხება სასტუმროს მშენებლობას, რესპუბლიკის სანინათა-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილემ აბესალომ ყურაშვილმა გვაცნობა: „კეთილმოწყობის სამუშაოები მაღალ ტემპში მიმდინარეობს და, ვფიქრობთ, სასტუმროს 25 თებერვალს ჩავაბარებთ“.

თამაზ ხარაბაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ყველას გასაგონად ვამბობ...

ამ დღეებში თბილისის სპორტულ ბაზებზე გაიმართა საქართველოს თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრების ვახტანგ იაგორაშვილისა და იგორ ბრიზგალოვის გარდა რესპუბლიკის ყველა უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა.

ჩვენს დედაქალაქში ჩამოვიდნენ, აგრეთვე, კრასნოდარისა და სომხეთის ნაკრები გუნდების წევრები. რაც შეეხება საქართველოს ხუთჭიდის აღიარებულ ლიდერებს იაგორაშვილსა და ბრიზგალოვს, ისინი ტალინში იყვნენ შეკრებაზე, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებისთვის ემზადებოდნენ.

რესპუბლიკის თასისათვის გამართულმა ასპარეზობამ გამოავლინა ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენები: სტანისლავ მალიშევი, ნოდარ შამოიანი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, ბორის კაცებინი, დიმიტრი გორდიენკო, იური შიტუხინი... ეს ყმაწვილები გაისად საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში დაიცავენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას. მოსამზადებლად დრო თითქოს დიდია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ბევრი რამ გვიშლის ხელს მუშაობაში, არა გვაქვს მანეჟი — საკუთარზე მოგახსენებთ. ხუთჭიდი ისეთი სახეობაა, ცხენოსნობაში ასპარეზობისთვის ბევრი ტექნიკური საკითხია მოსაგვარებელი, საჭიროა ხტომებისათვის დაბრკოლებები. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ძნელი იქნება ვარჯიშის წინ და შემდეგ მათი დალაგება და ალაგება. იპოდრომის ამ **მანეჟში ხომ ჩვენთან ერთად ხვნებიც არიან, უფრო სწორად, ჩვენა ვართ შეხიზნულები. გარდა ამისა, სარბიელი ძალიან პატარაა და გუნდი ერთხელაც ვერ ახერხებს მთელი შემადგენლობით შეკრებას. დღეს რომ ერთი ჯგუფი ვარჯიშობს, ხვალ სხვები მოდიან. ასეთი დაქსაქსვა ხელს გვიშლის მუშაობაში.**

არ დავმალავ, რომ მანეჟის ხელმძღვანელები გულგრილად ეკიდებიან საქმეს. დარბაზში ძალიან ცივა. ტრიბუნებზე ისეთი სიბინძურეა, სტუმრების შემოყვანა გვრცხვენია. არადა, ჩვენ თითქმის სულ ღია პირველობებსა და შეჯიბრებებს ვატარებთ.

ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი ბაზა „დინამოს“ სპორტკომპლექსია. მაგრამ აქ **აუზი შარშან აგვისტოში რომ დაიხურა, დღემდე დაკეტილია.**

მართალია, ჩვენთვის ყველა აუზის კარი ღიაა, მაგრამ **შორ მანძილზე სიარული დიდ დროს გვართმევს.**

გვაკლია სახროლი იარაღი, დაშნები... ხუთჭიდი მეტად რთული სახეობაა და ახალბედების მოსაზიდად ხარისხიანი სპორტული ინვენტარი და ფორმები გვჭირდება, მაგრამ ხარისხზე ვინღა ფიქრობს, უბრალო ინვენტარის შოვნაც გვიძნელდება. რესპუბლიკის მთავარი გუნდის წევრებს ამაზე ფიქრი არ ჭირდებათ, მაგრამ დანარჩენებს?

ერთი სიტყვით, ხელს ბევრი რამ გვიშლის, მიუხედავად სიძნელეებისა საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისათვის ენერგიულად ვემზადებით. ისე ყველას გასაგონად ვამბობ: თანამედროვე ხუთჭიდს ჩვენს რესპუბლიკაში მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს.

ნოდარ ალავიძე,
„დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

გაგაცნობთ საქართველოს თასის გათამაშების პრიზიორებს:

პირადი — 1. ვიტალი კისტერიოვი (კრასნოდარი) — 5612 ქულა, 2. იური ვერბიცკი — 5418, 3. ნოდარ შამოიანი (ორივე — საქართველო I) — 5356.

გუნდური: 1. საქართველო I — 15894, 2. კრასნოდარი — 15580, 3. საქართველო II — 14485.

ოლიმპიური „ოქრო“... მწვერვალებიდან

ძველად ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულ ათლეტებს ზეთისხილის რტოს გადასცემდნენ და დაფნის გვირგვინით ამკობდნენ, რაც უდიდეს პატივად ითვლებოდა. რატომაც არა, ზეთისხილის რტო და დაფნის გვირგვინი ხომ ძველი საბერძნეთის უმაღლესი ეროვნული ჯილდო იყო. გარდა ამისა, ჩემპიონს ნახევრადმერთად აღიარებდნენ და მის სახელს ოლიმპიაში, თამაშების მასპინძელ სოფელში, ჰდინარე ალფეოსის ვილზე ჩამწკრივებულ მარმარილოს კოლონებზე კვეთდნენ, ოლიმპიაში ჩემპიონს ძეგლს უდგამდნენ, პოეტები ხოტბას ასხამდნენ გამარჯვებულს.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, შეიცვალა ოლიმპიური თამაშებისადმი დამოკიდებულება, მისი შინაარსი. პროგრამა და ჩემპიონთათვის განკუთვნილი ჯილდოებიც. ახლა ოლიმპიურ ჩემპიონს აღარც ზეთისხილის რტოს გადასცემენ და აღარც დაფნის გვირგვინით ამკობენ, სამაგიეროდ, ოქროს მედლითა და სიგელით აჯილდოვებენ. ძეგლს და უმაღლეს ეროვნულ ჯილდოს თანამედროვე ოლიმპიურ ჩემპიონთაგან თითო-ოროლა თუ ღირსებია. ერთ-ერთი ასეთი ბედნიერი გამოხაკლისი გახლავთ ფინელი მორბენალი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი პაავო ნურმი. რომლის ქანდაკება ჰელსინკში, ოლიმპიური სტადიონის მისადგომებთან და ტურკუში აღმართეს.

ოლიმპიური ოქროს მედალი რომ დაიმსახურო, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი უნდა გახდე, მაგრამ ყოფილა შემთხვევა. ოლიმპიური ოქროს მედალი არაოლიმპიურ ჩემპიონებსაც მიუღიათ, თუმცა ისინი ჩემპიონები საერთოდ არ გამხდარან. მეტიც: მათი სახეობა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში არასოდეს ყოფილა შეტანილი.

ალპინიზმზე მოგახსენებთ.

სხვათა შორის, სპორტის ამ სახეობაში (აქვე უნდა ითქვას, რომ ბევრი მას სპორტის სახეობად არც კი თვლის) მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში იმართება შეჯიბრებები და სპორტულ ჯილდოებსაც მხოლოდ საბჭოთა მთამსვლელები იღებენ. დიახ, ჩვენს ქვეყანაში საკავშირო ჩემპიონატები ტარდება და მისი პრიზიორები ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით ჯილდოვდებიან. ჩვენთან მთამსვლელთა სათანრიგო ნორმატივებიც განსაზღვრულია და ალპინისტებისათვის არსებობს მეტად საპატიო წოდება „თოვლის ჯიქი“. ამ წოდებას ღებულობს ის მთამსვლელი, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ ოთხივე „შვიდიათასიან“ მწვერვალზე ავა.

ჩვენს ქვეყანაში მთამსვლელთა ექსპედიციებს სახელმწიფო აფინანსებს, ჯგუფის წევრებსაც საგულდაგულოდ არჩევენ, უცხოეთში კი ასე არ ხდება.

ხუთი წლის წინათ საქართველოში სტუმრად იყო ავსტრიელ და შვეიცარიელ მთამსვლელთა და მოთხილამურეთა ჯგუფი, რომელმაც მყინვარწვერი დალაშქრა. ამ ჯგუფში იყო დჰაულაგირის (8221 მ) დამპყრობი, შვეიცარიელი ალპინისტი იოზეფ ბუხჰოლცერი.

საქართველოში იშვიათად ჩამოდიან „რვაათასიან“ მწვერვალებზე ნამყოფი მთამსვლელები, ამიტომ იოზეფს ინტერვიუ ჩამოვართვით. ახლა ჩვენი საუბრის ერთ მონაკვეთს გავიხსენებთ.

— დჰაულაგირზე ასასვლელად ალბათ დიდხანს არჩევდნენ მთამსვლელებს, — ვკითხეთ ბუხჰოლცერს.

— არა, ექსპედიციის ხელმძღვანელმა მაქს აიზელინმა გამოაცხადა: ვისაც დჰაულაგირზე ასვლა უნდა, 1500 ფრანკი შემოიტანოსო. ეს იყო და ეს.

სახელგანთქმულმა იტალიელმა ალპინისტმა რაინჰოლდ მესნერმა კი კატმანდუში საბჭოთა მთამსვლელებთან შეხვედრისას გვითხრა, ჩვენს ექსპედიციებს სახელმწიფო არ აფინანსებს, თავად ვაგროვებთ ფულს — ვაქვეყნებთ სტატიებს, ვწერთ წიგნებს, ხშირად გამოვდივართ ლექციებითო.

ერთი სიტყვით, კაპიტალისტურ ქვეყნებში თმამსვლელები საკუთარი ჯიბიდან დებენ ფულს, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ სენსაციურ ექსპედიციას, რომლის შემადგენლობაში სახელგანთქმული თმამსვლელებიც არიან, სპორტული ფირმები, წიგნების გამომცემლები ან კინო და ტელეკომპანიები აფინანსებენ. თავად მთამსვლელებს,

გენერალი ჩარლზ ბრიუსი.

როგორც ვთქვით, არავითარ სპორტულ ჯილდოს არ აძლევენ. ის კი არა და, „სიკვდილის მთაზე“, ნანგა პარბატზე (8250 მ) პირველამსვლელი, სახელგანთქმული ავსტრიელი ჰერმან ბული, რომელიც მწვერვალზე მარტოდმარტო ავიდა, ნაცვლად იმისა, რომ გმირად გამოეცხადებინათ, ექსპედიციის ხელმძღვანელმა კარლ ჰერლიკკოფერმა სასიკვდილოდ გაიმეტა და არაფრის გულისათვის სასამართლოში აწანწალა. არადა, ჰერმან ბულის გამარჯვება არაფრით ჩამორჩებოდა ჯომოლუნგმაზე (8848) პირველამსვლელთა — თენსინგ ნორგეისა და ედმუნდ ჰილარის ლაშქრობას, რომელიც ნანგა პარბატის დაპყრობამდე რამდენიმე დღით ადრე დასრულდა (1953 წელს).

ნორგეისა და ჰილარის გამარჯვებას დიდი აღიარება ხვდა წილად, თენსინგს ნეპალის მეფე ტრიბჰუვანამ ნეპალ ტარასი (ნეპალის ვარსკვლავი) — ქვეყნის უმაღლესი ჯილდო გადასცა. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ თავისი ქვეყნის ეროვნულ გმირად გამოაცხადა, ჰილარსა და ექსპედიციის მეთაურს ჯონ ჰანტს კი ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა ამ ქვეყნის თავადაზნაურთა უმაღლესი მემკვიდრეობითი ტიტული — ლორდობა უბოძა. თენსინგს ამერიკის ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების მედალიც გადასცეს.

ასევე დაფასდა პირველ „რვაათასიან“ მწვერვალ ანაპურნას (8150 მ) დასალაშქრავად მოწყობილი ექსპედიციის (1950 წ.) ხელმძღვანელის მორის ერაგოს წვლილიც, რომელიც ლუი ლაშენალთან ერთად პირველი ავიდა მწვერვალზე. დიდი გამარჯვების შემდეგ მას საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო — საპატიო ლეგიონის ორდენი გადასცეს და მინისტრად დანიშნეს.

მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდება, მეტწილად კი მთამსვლელები იჩაგრებიან, რაგინდ დიდ გამარჯვებას არ უნდა მიაღწიონ. საუკეთესო სპორტსმენთა რიგებში მათ არ იხსენიებენ. მაგალითად, შარშან რაინჰოლდ მესნერმა მეთო-

ეს. ეკ. 3

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

უპირატესობას შენარჩუნება უნდა

თბილისი. სპორტის სახახლე. 11 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 72:69 (40:29).

„დინამო“: დარსაძე (18), ტიუბინი (16), ბოროდაჩოვი (16), კაპუსტინი (10), ოპოშნიანი (5), ფერიაშვილი (4), გეგეშიძე (3).

„შახტიორი“. ბაბენკო (18), ივანენკო (15), დონსკოი (13), შევჩენკო (12), ერმოლინსკი (8), კაჩურა (3), იუსუპოვი, ზავალინი, ლუკიანეცი.

მსაჯები: ი. სტორპირშტეინი (ოდესა), ე. რეხერი (მოსკოვი).

საკავშირო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე, როცა ყოველ ქულას, ყოველ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს, სიფხიზლის წუთით მოდუნებასაც კი შესაძლოა უსიამოვნო შედეგი მოჰყვეს მაშინაც, როცა ყველა სირთულე თითქოს დაძლეულია და შეხვედრის ბედიც გადაწყვეტილი ჩანს. უპირატესობის შენარჩუნება და გამარჯვების მოპოვება ასეთ დროს მაღალი ოსტატობის დამადასტურებელია.

თბილისის „დინამომ“ ამ დღეს ყველა სირთულე სარბიელზე გამოსვლისთანავე გადაწყვიტა. ეს კარგი ნიშანი იყო. უკანა ხაზის მოთამაშეებზე (დარსაძე, კაპუსტინი) რომ არაფერი ვთქვათ, თავდასხმის სამეულმა (ტიუბინი, ფერიაშვილი, ოპოშნიანი) ზედმიწევნით სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება და რამდენიმე ეფექტური შეტევით (რომელშიც მთელი გუნდი თანაბრად მონაწილეობდა) სოლიდურ უპირატესობას მიაღწია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს ინიციატივა გუნდს ერთობ ძვირად დაუჯდა: მეცამეტე წუთზე ფერიაშვილმა მეოთხე საჯარიმო მიიღო და იგი ბოროდაჩოვმა შეცვალა.

სხვა დროს, სხვა პირობებში, „დინამოს“ მწვრთნელები ასეთ თამამ გადაწყვეტილებას ალბათ არც მიიღებდნენ (ბოროდაჩოვი ხომ დიდი ხნის შესვენების შემდეგ გამოვიდა სათამაშოდ), მაგრამ იყო სხვა გამოსავალი? გუნდს უპირატესობის შენარჩუნება სპირდებოდა და რომელიმე ახალბედის გამოცვლას მწვრთნელებმა გამოცდილი ბოროდაჩოვის გამოყვანა ამჯობინეს. სწორი გადაწყვეტილება იყო: ბოროდაჩოვი კარგად ჩაერთო თამაშში, აქტიურად შეუტია მეტოქის კალათს, ოთხი ზუსტი სროლა შეასრულა და... „დინამომ“ ტაიმი 11 ქულით მოიგო.

თერთმეტი ქულა ოც წუთში — წარმატების საიმედო გარანტია იყო. მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და სურათი მკვეთრად შეიცვალა. რა მოხდა, ძნელი სათქმელია. ერთბაშად დაირღვა შეტევის მწყობრი მექანიზმი, დაირღვა რიტმი და დაცვაც „შეირყა“. არადა, კალათბურთში ასეა: როცა პოზიციურ თამაშს სასურველი შედეგი მოაქვს, შეტევისთვის განკუთვნილი 30 წამის მაქსიმალურად გამოყენებაა საჭირო, ამ დროს „ცაიტნოტში“ მეტოქეა და ბრძოლის გასამწვავებლად ტემპს მან უნდა მოუმატოს. ანგარიშის გათანაბრებაზე „შახტიორს“ უნდა ეფიქრა, რაც „დინამოსთვის“ ერთგვარი კოჭირი იქნებოდა.

მოხდა კი პირიქით. იმის გამო, რომ ვერც ერთი შეტევა ოცდაათ წამს ვერ „გავჭიმეთ“, პირველ ტაიმში ბრძოლით მოპოვებული უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა. აი, ამ პერიოდის სტენოგრამა: სამწუთიანი მონაკვეთი „დინამომ“ 8 ქულით (2:10) დათმო, ხუთი წუთის შემდეგ თამაში ფაქტიურად გათანაბრდა (თბილისელთა უპირატესობა 2 ქულამდე შემცირდა — 45:43). ამ პერიოდში დინამოელთა ათამდე არაზუსტი პასი და გადაცემა დავითვალეთ. ათი შეცდომა პრინციპულ მატჩში (როცა ქულას ქულა მისდევს) სულ ცოტა ოცამდე დაკარგული ქულაა. კიდევ კარგი, თვითონ „შახტიორიც“ შეცდომებს უშვებდა, თორემ...

ერთი სიტყვით, მეორე ტაიმში ყველაფრის თავიდან დაწყება, ერთხელ მოგებული ბრძოლის ხელახლა მოგება გახდა საჭირო. ამ „მიკრომატჩში“ მიზნის მიღწევა უფრო რთული და ძნელი აღმოჩნდა. მაგრამ დინამოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მიზანს მაინც მიაღწიეს — ათქულიანი სხვაობა მცირე ხნით აღადგინეს (55:45). შეხვედრის ბოლო წუთებში კვლავ მეორე ტაიმის დასაწყისში დაშვებული შეცდომები განმეორდა, მაგრამ მაშინ „შახტიორს“ მდგომარეობის გამოსასწორებლად ბევრი დრო ჰქონდა, ახლა კი, ასე ვთქვათ, „ალამი ჩამოუვარდა“.

ორი ქულა მაინც ორი ქულაა! ამ გამარჯვებამ თბილისის „დინამო“



სატურნირო ცხრილში დააწინაურა, ახლა იგი მესამე ადგილზეა. მომდევნო სამი მატჩის ჩატარება ჩვენს გუნდს სტუმრად მოუხდება. 17 თებერვალს რიგაში (ვეფ-თან), 20 თებერვალს მოსკოვში (ცსკა-სთან) და 22 თებერვალს კაუნასში („ჟალგირისთან“), ამიტომ, ცხადია, მომდევნო მატჩებში უფრო მეტი თავგანწირვით თამაში მართებს.

ნოდარ გუგუშვილი.

* * *

მეორე შემადგენლობით

რიგა. უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მორიგ მატჩში კაუნასის „ჟალგირისმა“ ადგილობრივი ვეფ-ის წინააღმდეგ ერთობ უცნაური შემადგენლობა გამოიყვანა. ლატვიის სპორტის სასახლის მოედანზე კალათბურთის მოყვარულებმა ვერ იხილეს ვერც საბონისი, ვერც კურტინაიტისი, ხომიჩუსი და იოვაიშა. მათი ადგილი ახალგაზრდა კალათბურთელებმა დაიკავეს, რომლებმაც საკმაოდ კარგად ითამაშეს და სასურველ მიზანსაც მიაღწიეს. „ჟალგირისმა“ გაიმარჯვა — 95:87 (41:45).

სტუმართა გუნდში თავი ვენცლოვასმა გამოიჩინა — 28 ქულა, მასპინძლებში — ვალტერსმა — 30 ქულა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 თებერვლისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	28	23	5	2685-2289	51
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	28	21	7	2463-2260	49
„დინამო“ (თბილისი)	28	16	12	2217-2297	44
„სპარტაკი“ (ლენინგ.)	28	15	13	2299-2285	43
„შახტიორი“ (დონეცკი)	28	14	14	2260-2300	42
ვეფ (რიგა)	28	13	15	2503-2559	41

საფეხბურთო მინდვრები—სრულ მზადყოფნაში!

საქართველოს სპორტსანკომის ფეხბურთის სამმართველო და ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია ამოწმებენ საქართველოს პირველობაზე მონაწილე გუნდების სპორტული ბაზების მომავალი სეზონისთვის მზადყოფნას. დრო ბევრი აღარ დარჩა, ახლა, წინასასეზონო მზადების მიწურულს, ჩვენს ქალაქებში, სარაიონო ცენტრებში, დაბებში, სოფლებში დაჩქარებული ტემპით უნდა წარვმართოთ სპორტული ბაზების შეკეთება და მოწესრიგება, გათამაშების გახსნის დღეს სტადიონზე მოსულ მშრომელებსაც, უშუალოდ შეჯიბრებათა მონაწილეებსაც ყველაფერი მზად უნდა დახვდეთ.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ყველაფერი რიგზეა ზობის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს რაიონებში. ცხაკაიას და, განსაკუთრებით, ზობს სულ ახლახან უმძიმესი განსაცდელი დაატყდათ თავს, მაგრამ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ ძალონე არ დაიშურეს სარბიელების წესრიგში მოსაყვანად, რესპუბლიკური შეჯიბრების სრულ მზადყოფნაში შესახვედრად. ასევე კარგად მოამზადეს მცხეთის საფეხბურთო სტადიონი, აქაც სანიმუშო მდგომარეობაა.

მაგრამ შეშფოთებას იწვევს ცხინვალის სპორტული ბაზის დღევანდელი ვითარება. აქ ქალაქის სტადიონის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, წლევანდელი სეზონისთვის იგი მზად არ არის და საეჭვოა, რომ დროზე მოესწროს სამუშაოთა დამთავრება.

არც ბოლნისშია კარგად საქმე. აქაურ სტადიონზე ხანძრის შედეგად დაიწვა სპორტსმენთა გასახდელი ოთახები, სამსაჯო ოთახი, საშხაპეები. ყველაფერი ეს სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს უახლოეს დროშივე.

ბევრი რამაა გასაკეთებელი ყვარლის სტადიონზე: საჭიროა შეკეთდეს გასახდელები, ჩასასმელია მინები, არ არის ცხელი წყალი, გასარემონტებელია მაყურებელთა დასაჯდომი ადგილები. [illegible] ევე შეკეთებულია [illegible] გასახდელები ახმეტის სტადიონზე, აქაც არ არის ცხელი წყალი.

თერჯოლის სტადიონზე წესრიგში მოსაყვანია სათამაშო მინდვრის გაზონი, საჭიროა განახლდეს სარწყავი მოწყობილობა. მახარაძის სტადიონზე შესაკეთებელია სპორტსმენთა გასახდელები, საშხაპეები, დასამთავრებელია ტრიბუნების რემონტი.

მოუწესრიგებელია საშხაპეები ვანში, თელავში, გურჯაანში, ზესტაფონში. მარნეულის სპორტულ ბაზაზე არ არის ცხელი წყალი, არ მოქმედებს საშხაპეები ლაგოდეხში.

ერთი სიტყვით, ადგილობრივმა სპორტულმა ორგანიზაციებმა, მშენებლებმა საგრძნობლად უნდა დაუჩქარონ ტემპს, სრულ წესრიგში მოიყვანონ თავიანთი სპორტული ბაზები რესპუბლიკის საფეხბურთო პირველობის დაწყების პერიოდისთვის.

„გურია“ — „ნეფთჩი“ 1:1

11 თებერვალს ეშერის ოლიმპიური ბაზის მინდორზე გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების ლანჩხუთის „გურიასა“ და ბაქოს „ნეფთჩის“ საკონტროლო მატჩი. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1, ლანჩხუთელთაგან ბურთი გაიტანა ფრიდონაშვილმა.

„გურიამ“ შეხვედრა ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: იმნაძე, მიქაბერიძე, შვეცოვი, ე. თევზაძე, მ. თევზაძე, ტყებუჩავა, კოპალეიშვილი, ხაგბა, ჩხაიძე, ფრიდონაშვილი, ხლუსი.

საგანგებო მზადება

ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის 1986-87 წლების გათამაშების ფინალური მატჩი საბერძნეთის დედაქალაქში გაიმართება 13 მაისს. ამის თაობაზე ოფიციალურად განაცხადა უეფა-ს დელეგაციის ხელმძღვანელმა, ეს კომისია საინსპექციო დავალებით იყო ჩასული ათენში.

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად უეფა-ს კომისიამ უხიფათობის საგანგებო ღონისძიებანი შეიმუშავა ამ მეტად მნიშვნელოვანი მატჩის ნორმალურად ჩასატარებლად. ჯერ კიდევ ყველას თვალწინა აქვს ის ტრაგედია, რომელიც 1985 წლის გაზაფხულზე დატრიალდა ბრიუსელის „ეიზელის“ სტადიონზე, იმედოვნებენ, რომ პრევენტიული, საგანგებო ზომების შემდეგ ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი ათენში სრულ წესრიგში ჩაივლის.

ერთმანეთს ხვდებიან „ხიხანი“ — „ბაკინეცი“.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საკავშირო ტურნირი მინიფეხბურთში

ყველაფერი გაირკვევა ფინიშზე

მას შემდეგ, რაც საქართველოს გუნდებმა დიდი ანგარიშებით სძლიეს ერევნის „არარატსა“ და რიგის „დაუგავას“, ნათელი გახდა, მინიფეხბურთში გამართულ საკავშირო ტურნირში სპარიზო ადგილებისათვის ბრძოლა „შინაური საქმე“ გახდებოდა. მაგრამ იყო ერთი მეტოქე — ბაქოს „ბაკინეცი“, რომელიც არ აპირებდა სხვა სტუმართა მსგავსად ასე იოლად დაეთმო ბრძოლის ველი, გუნდს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი (სხვათა შორის არც თუ უსაფუძვლოდ), აქტიურად ჩარეულიყო სამეულის („ხიხანი“, „ვაკე“, „ვერა“) დავაში. ბაქოელები ალბათ იმანაც გაამხნევა, რომ მათ რიგებში გამოდიან „ნეფთჩის“ ყოფილი ფეხბურთელი ალი-ზადე და რამდენიმე სხვა ოსტატი.

„ბაკინეცს“ შეჯიბრება ურიგოდ არ დაუწყია. გუნდმა ორ საკმაოდ საპატიო ფრეს მიაღწია სტარტზე— ჯერ „ვაკესთან“, შემდეგ „ვერასთან“ და ამით გაგვაფრთხილა, რომ იგი ტურნირზე ანგარიშგასაწევი მეტოქე იქნებოდა. ამიტომ ბათუმელი ფეხბურთელები საგანგებოდ მოემზადნენ „ბაკინეცთან“ საბრძოლველად. აქვე უნდა ითქვას, რომ „ხიხანი“ გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი იყო. გუნდის საუკეთესო ბომბარდირს გ. ცანავას მანამდე 5 ბურთი ჰქონდა მეტოქეთა კარში გატანილი. ვინც ტურნირს ესწრება შეამჩნევდა, რომ საქართველოს მეორე პრიზიორი მინიფეხბურთში — ბათუმელთა გუნდი მტკიცე სათამაშო დისციპლინით გამოირჩევა, განსაკუთრებით დაცვა, რომლის სულისჩამდგმელია კაპიტანი ჯორბენაძე. „ხიხანმა“ ამჯერადაც საიმედოდ ითამაშა, რამაც მას დამსახურებული გამარჯვება მოუტანა. შეხვედრის მე-6 წუთზე ქაცარავამ (№ 8) გახსნა ანგარიში, მერე იმავე ცანავამ 11-მეტრიანით ორამდე გაზარდა იგი. შესვენების შემდეგ ალი-ზადემ ერთი გოლი გაქვითა. „ბაკინეცი“ თითქოს მიუახლოვდა მიზანს, მაგრამ შეხვედრის 29-ე და 30-ე წუთებზე კვლავ ცანავას მიერ დარტყმულმა ბურთებმა შეარხია ბაქოელთა კარის ბადე. თამაშის მიწურულს „ბაკინეცმა“ მეორე ბურთი გაიტანა (გაგბოვი). მატჩი დამთავრდა „ხიხანის“ გამარჯვებით — 4:2.

პრინციპული გამოდგა თბილისის ჩემპიონ „ვაკესა“ და საქართველოს პირველობის გამარჯვებულ „ვერას“ პაექრობა. მათი შეხვედრა ყოველთვის დაძაბულად მიმდინარეობს ხოლმე, გამონაკლისი არც გუშინდელი თამაში ყოფილა. ამჯერად ვაკელებმა იზეიმეს გამარჯვება (2:1). ბურთები გაიტანეს ჩოხელმა, ქავთარაძემ და ადამიამ („ვერა“).

„არარატმა“ ანგარიშით 7:1 სძლია „დაუგავას“.

გუშინ „ბაკინეცმა“ დაამარცხა „დაუგავა“ — 6:1, „ვერა“ — „არარატი“—2:2,, „ხიხანმა“ სძლია „ვაკეს“ —2:1. დღეს შეხვედრები 18 საათზე დაიწყება. პირველად მოედანზე გამოვლენ „ბაკინეცი“ — „არარატი“, „ვაკე“ — „დაუგავა“, (19 ს.), „ვერა“ — „ხიხანი“ (20 ს.).

უშანგ ჭიპინაძე.

მოკლე ცნობები

პორტუგალიაში სტუმრად იმყოფებიან ნიკოპოლის „კოლოსის“ ფეხბურთელები. ნიკოპოლელებმა ლისაბონში დაამარცხეს სეიშალის მუნიციპალიტეტის ნაკრები — 4:0, კანარის კუნძულებზე მოუგეს „ლასტორესს“ — 4:1, შემდეგ კი გაიმარჯვეს დაკარის (სენეგალი) ნაკრებთან შეხვედრაში — 2:0.

ურუგვაი. ლენინგრადის „ზენიტი“ მონაწილეობს „მონტევიდეოს თასის“ საერთაშორისო ტურნირში. ლენინგრადელები დამარცხდნენ ურუგვაის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბთან „ნასიონალთან“ — 1:3. „ზენიტის“ მეორე მეტოქე იყო ურუგვაის სხვა პოპულარული კლუბი „პენიაროლი“. ეს შეხვედრა გუშინ გაიმართა.

მინსკის „დინამომ“ ორი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა ახალ ზელანდიაში ამ ქვეყნის ნაკრებთან. მინსკელებმა ორივე შეხვედრა მოიგეს: გისბორნში — 2:0 და ველინგტონში — 3:0.

როგორც ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ გამოაცხადა, ეროვნული ნაკრები მაისის მეორე ნახევარში ტურნეს ჩაატარებს ევროპაში. 19 მაისს ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე დანიშნულია საინტერესო მატჩი ინგლისის ნაკრებთან, 23 მაისს ბრაზილიელები დუბლინში შეხვდებიან ირლანდიელებს, 26 მაისს გლაზგოში — შოტლანდიელებს, 28 მაისს ჰელსინკში — ფინელებს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კრივში

დადგა მედლების დათვლის დრო

კაუნასი, 13 თებერვალი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი). „სპორტჰალეს“ რინგზე მთავარი ბრძოლები კვირას, 15 თებერვალს გაიმართება, მაგრამ უკვე ახლა შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველოს სპორტსმენებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. ყველა სინჯის თუ არა, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მაინც განაღდებული აქვთ. ჩვენ უკვე ვწერდით რუდიკ კაზანჯიანზე, რომელმაც ერთადერთი ორთაბრძოლის მოგებით გაინაღდა ბრინჯაოს მედალი. დღეს გვიან საღამოს ნახევარფინალურ შეხვედრაში მისი მეტოქე იქნება საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონი ალექსანდრე მახმუდოვი (მოსკოვის ოლქი). სწორედ ეს პაექრობა გადაწყვეტს, რამდენი მოკრივე ეყოლება ჩვენს რესპუბლიკას ფინალში. საქმე ისაა, რომ ფინალური ორთაბრძოლის საგზური უბრძოლველად უკვე მოიპოვა ხვიჩა ხდრიანმა. მაგრამ უმჯობესია თანმიმდევრულად მივყვეთ. მეოთხედფინალში ხდრიანის მეტოქე იყო სპორტის ოსტატი სერგეი კარეკინი (მოლდავეთი). ხვიჩამ გამარჯვების იოტისოდენა შანსიც კი არ დაუტოვა მოწინააღმდეგეს და აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა.

მეორე მეოთხედფინალურ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ალბერტ კაზანჯიანი და სომხეთის წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ლევონ პაპიანი. კაზანჯიანს მთელი ორთაბრძოლის მანძილზე დიდი უპირატესობა ჰქონდა და ხუთივე მსაჯმაც მას მიაკუთვნა გამარჯვება.

წილისყრით ნახევარფინალში ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ხვიჩა ხდრიანი და ალბერტ კაზანჯიანი. მაგრამ ალბერტმა წინა შეხვედრებში ხელი დაიშავა, ტრავმა გაურთულდა და ექიმებმა სპორტსმენი გათამაშებიდან მოხსნეს.

ამრიგად, ალბერტ კაზანჯიანი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. ამიტომაც გავიდა უბრძოლველად ფინალში ხვიჩა ხდრიანი, სადაც მისი მეტოქე, როგორც ჩანს, მსოფლიოს ექსჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი იური ალექსანდროვი (რსფსრ) იქნება. საქმე ისაა, რომ ნახევარფინალში ალექსანდროვი გაიკრა საფარანის (სომხეთი) უნდა შეხვდეს და სპეციალისტებმა ამ პაექრობაში მსოფლიოს ექსჩემპიონს უწინასწარმეტყველეს გამარჯვება. მართლაც, ამ ორი მოკრივის კლასში დიდი განსხვავებაა.

სამწუხაროდ, ასპარეზობას გამოეთიშნენ დომენტი დანელია და იური სავოჩკინი. პირველმა ქულებით წააგო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთან ევგენი სუდაკოვთან (რსფსრ). ეს ბრძოლა თითქმის თანაბარი იყო, მაგრამ მე-3 რაუნდში მსაჯებმა ქართველი სპორტსმენი გააფრთხილეს პასიურობისთვის და ამან გადაწყვიტა კიდეც ასპარეზობის ბედი.

რაც შეეხება სავოჩკინ-ვიქტორ იანოვსკის ორთაბრძოლას, აქ ბელორუსიელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონს დიდი უპირატესობა ჰქონდა მთელი შეხვედრის მანძილზე და საბოლოოდ გამარჯვებაც მას დარჩა.

ერთი სიტყვით, კაუნასში გადამწყვეტი ორთაბრძოლების ჟამი დადგა, რაც უდავოდ ბევრ საინტერესოს გვპირდება. დაველოდოთ მათ.

გუშინ...

48 კგ წონით კატეგორიაში თბილისელმა რუდიკ კაზანჯიანმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ოლიმპიური „ოქრო“... მწვერვალებიდან

(დასასრული)

თხმეტე „რვაათასიანიც“ დაიპყრო. თანაც, ერთ სეზონში ორ ასეთ მწვერვალზე შედგა ფეხი და „რვაათასიანებიდან“ მეთვრამეტედ გადმოიხედა.

სხვისი არ ვიცი და, მე რაინჰოლდ მესნერს მსოფლიოს ათ საუკეთესო სპორტსმენს შორის პირველ ნომრად დავასახელებდი, არადა სპორტულ ჟურნალისტთა რეფერენდუმში მას ათეულშიაც არ მიუჩინეს ადგილი. ეს შეცდომა ერთგვარად გამოასწორა საფრანგეთის სპორტის აკადემიამ, რომელმაც გადაწყვიტა შარშანდელი მიღწევებისათვის მესნერს თავისი დიდი პრიზი გადასცეს.

მაგრამ სპორტული მედლები? ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლებით სულ ხუთი მთამსვლელი დააჯილდოვეს. პირველი, ვინც ეს ჯილდო მიიღო, ინგლისელი გენერალი ჩარლზ ბრიუსი გახლდათ — 1924 წელს დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე მოწყობილი ექსპედიციის ხელმძღვანელი. ამ ექსპედიციის წევრებმა ჯონ მელორმა და ენდრიუ ირვინმა იმ დროისათვის უდიდეს წარმატებას მიაღწიეს. მათ უკანასკნელად 8600 მეტრის სიმაღლეზე მოჰკრეს თვალი. — შესაძლოა, მწვერვალსაც მიაღწიეს და დაშვებისას დაიღუპნენ. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, მათ მიერ აღებული სიმაღლე პრაქტიკულად ყველა დანარჩენ „რვაათასიან“ მწვერვალს აჭარბებდა (მელორისა და ირვინის მიღწევა 1953 წლამდე ვერავინ გააუმჯობესა).

ჯომოლუნგმას ტრაგედიამ მსოფლიო შეძრა. ლონდონის წმინდა პავლეს მონასტერში დაღუპულ მთამსვლელების სულის მოსახსენებლად გამართულ პარაკლისს ინგლისის მეფე გეორგ V და დედოფალი ალექსანდრა დაესწრნენ.

მწვერვალი მატერჰორნი.

ყველამ ერთხმად აღიარა ექსპედიციის უდიდესი მიღწევა. ამის დასტური გახლდათ თუნდაც ის, რომ ექსპედიციის მეთაური ოლიმპიური ოქროს მედლით დააჯილდოვეს. თუმცა ამ ჯილდოს, უწინარეს ყოვლისა, მელორი და ირვინი იმსახურებდნენ. უთუოდ სამართლიანი იქნებოდა, რომ ისინი, სიკვდილის შემდეგ, ოლიმპიური ოქროს მედლებით დაეჯილდოვებინათ, ისევე, როგორც ეს 1932 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოხდა, როცა ფრანც შმიდს ორი ოლიმპიური ოქრო გადასცეს — ერთი მისთვის განკუთვნილი, ხოლო მეორე — დაღუპული ძმისთვის. ეს ჯილლოები ძმებმა ფრანც და ტონი შმიდებმა ალპების ულამაზეს და ურთულეს მწვერვალ მატერჰორნზე ასვლისთვის დაიმსახურეს. ძმებმა ეს ლაშქრობა 1931 წელს ჩრდილოეთის მხრიდან განახორციელეს. მანამდე არავის ეგონა, მწვერვალის 1200-მეტრიანი შვეული კედლის დაძლევა შესაძლებელი თუ იყო, ასე რომ, ძმებმა იმ დროისათვის შეუძლებელი შეძლეს.

ტონი შმიდი ოლიმპიური ოქროს მედლით დაჯილდოებამდე ცოტა ხნით ადრე მთაში დაიღუპა.

უკანასკნელად, კერძოდ, 1936 წელს ოლიმპიური ოქროს მედლები გადაეცათ შვეიცარიელ ცოლქმარს ჰეტი და გიუნტერ ოსკარ დირენფურტებს, რომლებმაც 1934 წელს ყარაყორუმში ბალტოროსა და სია კანგრის მწვერვალებზე სარეკორდო ასვლები განახორციელეს.

ვფიქრობ, ამ ასვლებზე ღირს ორი სიტყვის თქმა და ცოლ-ქმრის სავიზიტო ბარათის გაცნობაც საინტერესო იქნება მკითხველისთვის, მით უმეტეს, რომ ამ ექსპედიციის შესახებ ჩვენთან არაფერი გამოქვეყნებულა.

გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიუნტერ ოსკარ დირენფურტი, რომელსაც მეტსახელად „ჰიმალაის მეფე“ შეარქვეს, სახელგანთქმული მთამსვლელი და ექსპედიციების უნარიანი ხელმძღვანელი გახლდათ. მისი ხელმძღვანელობით ბევრი საერთაშორისო ექსპედიცია დამთავრდა წარმატებით. პროფესორი მწვერვალებს ხშირად მეუღლესთან ერთად იპყრობდა. შვილიც, ნორმან დირენფურტი, მშობლების კვალს გაჰყვა. 1952 წელს იგი ჯომოლუნგმას დასალაშქრავად მოწყობილი შვეიცარიელთა ექსპედიციის წევრიც იყო, როგორც ფოტოგრაფი და კინოოპერატორი.

„მთელი ჩემი ცხოვრება, როგორც მეცნიერისა და ალპინისტის, მწერლისა და ფოტოგრაფის, ჰიმალაის, ჩვენი პლანეტის ამ ბუმბერაზი მთიანი მასივის სისტემას მივუძღვენი, — ამბობს ოსკარ დირენფურტი. — მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალების დაპყრობას მე თუდამ განვიხილავდი არა როგორც ვიწრო ეროვნულ ინტერესს, არამედ როგორც მთელი კაცობრიობის საერთო საქმეს.

ჰიმალაის სამი დიდ ექსპედიცია — 1933, 1934, 1955 წლებისა სახელწოდებით: „ჰიმალაის საერთაშორისო ექსპედიციები“, ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებდა. ჟურნალი „ალპინიზმი“, რომლის კორესპონდენტიც მე გახლავართ, მბარს უჭერდა „დიდი ჩაბმის“ ამ ლამაზ იდეას“.

მთამსვლელთა საერთაშორისო ექსპედიციები, როგორც წესი, მიზანს იშვიათად აღწევენ, რადგან ასეთ კოლექტივებში თავს იჩენს „შენ-ჩემობანა“, წინა პლანზე ყველანი პირად ან თავიანთი ქვეყნის ინტერესებს აყენებენ, ექსპედიციის დიდი მიზანი აღარავის ახსოვს. ამიტომაა საერთაშორისო ექსპედიციები ხშირად მარცხით რომ მთავრდება.

გიუნტერ ოსკარ დირენფურტის საერთაშორისო ექსპედიციების წევრები კი შეხმატკბილებულები იყვნენ და ამიტომ იმარჯვებდნენ, ამიტომაც დაამყარეს საოცრად მოკლე დროში ყარაყორუმში, ბალტოროს რაიონში, ბალტორო კანგრისა და სია კანგრის მასივებზე, რეკორდები.

„ჰიმალაის მეფემ“ ამ საერთაშორისო ექსპედიციისათვის სახსრები კინოფირმის დახმარებით გამოძებნა. ფირმას კინოფილმ „ჰიმალაის დემონისთვის“ გადაღება მთაში ჰქონდა განზრახული, მაგრამ ძუნწმა დამფინანსებლებმა ფული ცოტა გაიმეტეს. მათ ვერც კი წარმოედგინათ, რომ კომბინირებულ ექსპედიციას, რომლის წევრებსაც კინოც უნდა გადაეღოთ და მწვერვალებზეც ასულიყვნენ, დაუჯერებელი სიძნელეები შეხვდებოდათ.

მთამსვლელები თავდაპირველად ორ ჯგუფად გაიყვენ და 3 აგვისტოს ორივე ჯგუფმა პირველი წარმატება იზეიმა. ერთმა ჯგუფმა, რომელშიც ჯეიმს ბელიაევი (დიდი ბრიტანეთი), პიერო გილიონე (იტალია) და ანდრეი როში (შვეიცარია) იყვნენ, მანამდე ფეხდაუდებელი მწვერვალი „ოქროს ტახტი“ დაიპყრო.

„ოქროს ტახტი“ ბალტორო კანგრის ძველი სახელწოდებაა. დირენფურტის ექსპედიციის წევრები ამ მასივის ყველაზე დაბალ (7260 მ) მწვერვალზე ავიდნენ (უმაღლესის — ჩრდილოეთის ანუ მთავარი მწვერვალის სიმაღლე 7312 მეტრია. მასზე პირველად 1963 წელს ავიდნენ იაპონელები შიბატა, კონო, შიმა და ფუიმოტო).

იმავე დღეს სია კანგრის (იგივე ქუინ მერიან „ავსტრიის“ პიკი 7315 მ) დასავლეთ მწვერვალზე პირველად ავიდნენ გერმანელები ჰანს ერტლი, ალბერტ ჰეჰტი, შვეიცარიელი ფრაუ ჰეტი დირენფურტი და მისი მეუღლე გიუნტერ ოსკარი. ჰეტი დირენფურტი ამ მწვერვალიდან დაბრმავებული დაბრუნდა. მაგრამ, თვალები მალე მოურჩა, აი, ამ ასვლისთვის დაიმსახურა მან ოლიმპიური ოქროს მედალი.

ჰეტი დირენფურტი იყო პირველი ქალი, რომელმაც ასეთ სიმაღლეს მიაღწია. მისი რეკორდი მთელი 20 წლის მანძილზე, ფრანგი კლოდ კოგანის განეშის პიკზე (7406 მ) ასვლამდე, ვერც ერთმა ქალმა ვერ გაუმჯობესა.

ახლა კვლავ დირენფურტის ექსპედიციას დავუბრუნდეთ. „ოქროს ტახტის“ დამპყრობლებმა 10 აგვისტოს სია განგრის ცენტრალური მწვერვალიდანაც პირველებმა გადმოიხედეს (მწვერვალის სიმაღლე ზუსტად დადგენილი არ არის. მიახლოებული გამოანგარიშებით 7315 მეტრია). ორი დღის მერე გერმანელებმა ერტლმა, ჰეჰტმა და ქაშმირელმა მებარგულმა ჰაკიმ ბეგმა სია კანგრის თითქმის 7315 მეტრის სიმაღლის აღმოსავლეთი მწვერვალიც დალაშქრეს. იმავე დღეს ერტლმა და ჰეჰტმა ამ მასივის ყველაზე მაღალ, ჩრდილოეთის ანუ მთავარ მწვერვალსაც (7422 მ) პირველებმა მოადგეკინეს ქედი.

ერთი სიტყვით, დირენფურტის ექსპედიციამ წარმატებით დაამთავრა თავისი საქმე, მისი ჯგუფის შვიდმა წევრმა და ერთმა მებარგულმა, საოცრად მოკლე დროში — ათ დღეში — ხუთი იქამდე აუღებელი „შვიდიათასიანი“ მწვერვალი დალაშქრა. თანაც ექსპედიციის მეთაურის მეუღლემ ქალთა სასიმაღლო ასვლის რეკორდი დაამყარა. ეს გაუგონარი წარმატება იყო, ამიტომ ექსპედიციის მეთაური და მისი მეუღლე ოლიმპიური ოქროს მედლებით დაჯილდოვეს.

ერთხანს მთამსვლელებს ალპინიზმის თემაზე დაწერილ წიგნებში და ასვლების ანგარიშების შედგენაში „ოლიმპიურ ჰონორარს“ უხდიდნენ, მერე კი ესეც დაივიწყეს. უცხოეთის ქვეყნებიდან ერთადერთმა ნეპალმა დააწესა თავისი სამეფოს მკვიდრი შერპებისათვის სპორტული ჯილდო — ოქროს მედალი, რომლითაც მთამსვლელს მხოლოდ განსაკუთრებული მიღწევებისთვის აჯილდოვებენ.

იქნებ სწორიცაა, რომ მთამსვლელებს არც ოლიმპიური მედალი და არც სხვა ჯილდოები ეძლევათ. საქმე ის არის, რომ ალპინიზმში ძნელია ასვლების დაპირისპირება. სირთულის ერთნაირი კატეგორიის მწვერვალებიც კი ხშირად პრაქტიკულად ერთმანეთისგან ძალზე განსხვავდებიან. ასვლის სირთულეს განსაზღვრავს ამინდიც. ხშირად ცუდ ამინდში სირთულის დაბალი კატეგორიის მწვერვალზე ასვლა უფრო ძნელია, ვიდრე კარგ კლიმატურ პირობებში რთული მწვერვალის დალაშქვრა.

რაც მთავარია, ალპინისტები ხომ ჯილდოებისთვის არ ადიან მწვერვალებზე. ისინი ადიან, „რადგან მწვერვალები დგანან“.

ავთანდილ გურასაშვილი.

კასპაროვი ამარცხებს... „ჰამბურგს“

მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა დაამარცხა... „ჰამბურგი“ — 7:1. დიახ, ეს უთანასწორო მატჩი გაიმართა დასავლეთ გერმანიაში, სადაც კასპაროვის მეტოქე იყო „ჰამბურგის“ 8 ფეხბურთელი. ეს გუნდი გფრ-ის ბუნდესლიგაში თამაშობს. მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო 6 პარტია და 2 ყაიმით დაამთავრა. მას დაუზავდნენ 17 წლის ოლივერ შულტე და ფრანკ ბერჰრსტომი.

ამ გამარჯვებით კასპაროვმა რევანში აიღო ამ გუნდთან შარშანდელი დამარცხებისათვის — 3,5:4,5.

ტელეტაიკი - მკითხველი

ოტავა. აქ გაიმართა ნხლ-ს „ვარსკვლავთაგან“ შემდგარი გუნდისა და სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრების პირველი მატჩი, რომელშიც გამარჯვება კანადელ სპორტსმენებს დარჩათ — 4:3 (1:0, 1:1, 2:2). აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა გადამწყვეტი შაიბა შეხვედრის დამთავრებამდე წუთითა და 15 წამით ადრე გაიტანეს.

ლეიკ-პლესიდი (აშშ). ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი სახეობა — 20 კილომეტრიანი რბოლა გდრ-ის წარმომადგენელმა ფრანკჰეტერ რიოჩმა მოიგო. ვერცხლის მედალი ამერიკელ ჯონ ტომპსონს ხვდა, ბრინჯაოსი — მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონს ვალერი მედვედცევს (სსრ კავშირი).

ოგერსდორფი (გფრ). აქ დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშება სათხილამურო სპორტში. პროგრამის პირველ სახეობაში — 30 კილომეტრზე რბენაში საპრიზო ადგილები დაიკავეს: 1. თომას ვასბერგმა (შვეცია), 2. აკი კარვონენმა (ფინეთი), 3. კრისტერ მაიბეკმა (შვეცია).

მემფისი (აშშ). ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მეორე წრეში ჯიმი კონორსმა (აშშ) ანდრეი ჩესნოკოვი (სსრ კავშირი) დაამარცხა — 6:1, 6:3. ქალთა ტურნირში ამერიკელმა ხუ ნამ სვეტლანა პარხომენკოს (სსრ კავშირი) აჯობა — 6:7, 6:4, 6:0. პარხომენკომ ლარისა სავჩენკოსთან ერთად შვედების დუეტი (კატარინა ლინდკვისტი, მარია ლინდსტრიომი) დაამარცხა — 6:3, 6:3.

მოსკოვი. სსრ კავშირის მოცურავეთა ზამთრის ღია ჩემპიონატის მესამე დღეს 50 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ევროპის ჩემპიონმა მოსკოველმა დიმიტრი ვოლკოვმა ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 28.44.

ტელეტაიკი - მკითხველი

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 14 თებერვალი. დილის დაკურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (2);** საერთაშორისო მატჩი ჰოკეიში: ნხლ (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები) — **16.20 (1);** სპორტული პროგრამა: მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა ციგურაობაში (გადაცემა ჰოლანდიიდან), სსრ კავშირის ჩემპიონატი კრივში (გადაცემა კაუნასიდან), სსრ კავშირის თასი მოტოკროსში (გადაცემა კოვროვიდან) — **19.40 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა ციგურაობაში (გადაცემა ჰოლანდიიდან) — **0.45 (1).**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი: 56425 ხაჭართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ფორმატში, ხოშარაულის ქ., 29. 8 უე 06755